

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

ქართული ენის სწავლების პრობლემები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში

ნათია ფურცელაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის (ქვედარგი - ლიტერატურული ურთიერთობები) პროგრამის დოქტორანტი;

კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „ქორალის“ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ანოტაცია

ქართული ენის სიწმინდის დაცვა - ეს ის საკითხია, რომელიც ჩვენი საზოგადოების საჭირობო პრობლემად იქცა. ნებისმიერ გარემოში, პრესასა თუ ტელევიზიაში, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა თუ საჯარო სამსახურებში ქართული ენის ნორმები უხეშად ირღვევა, ბუნებრივი, გამართული ქართული წერა და მეტყველება იშვიათობად იქცა. ენა ერის ინდივიდუალურობის გამომხატველი უმთავრესი ნიშანია, მისი დამახინჯება კი სწორედ ეროვნულ თვითმყოფადობას აცლის საფუძველს, როგორც გრიგოლ ორბელიანი ამბობს: „რა ენა წარხდეს, ერიც დაეცეს, წარეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას“.

მშობლიური ენის დამახინჯებისა თუ უპატივცემულობის მიზეზი ბევრია, თუნდაც ის, რომ აღარ არსებობს არავითარი კომისია, რომელიც ენის ნორმებს დაადგენს, ფაქტობრივად, იგი უკონტროლო რეჟიმში ვითარდება. სად უნდა ვეძებოთ გამოსავალი, როგორ უნდა მოვახერხოთ, რომ მთელმა ქართულმა საზოგადოებამ, უმრავლესობამ და არა მისმა მცირე ნაწილმა ქართულად თავისუფლად აზროვნება, მართლწერა და მართლმეტყველება შეძლოს? ცხადია, უპირველეს ყოვლისა, პრობლემის სათავეა მოსაძებნი და მოსაგვარებელი.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა და ლიტერატურა, ინტეგრირებული სწავლება, სისტემურობის პრინციპი, გამოსაწვეები გამოცდა, ერთიანი ეროვნული გამოცდა.

ქართული ენის სიწმინდის დაცვა - ეს ის საკითხია, რომელიც ჩვენი საზოგადოების საჭირობო პრობლემად იქცა. ნებისმიერ გარემოში, პრესასა თუ ტელევიზიაში, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა თუ საჯარო სამსახურებში ქართული ენის ნორმები უხეშად ირღვევა, ბუნებრივი, გამართული ქართული წერა და მეტყველება იშვიათობად იქცა. ენა ერის ინდივიდუალურობის გამომხატველი უმთავრესი ნიშანია, მისი დამახინჯება კი სწორედ ეროვნულ თვითმყოფადობას აცლის საფუძველს, როგორც გრიგოლ ორბელიანი ამბობს: „რა ენა წარხდეს, ერიც დაეცეს, წარეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას“.

მშობლიური ენის დამახინჯებისა თუ უპატივცემულობის მიზეზი ბევრია, თუნდაც ის, რომ აღარ არსებობს არავითარი კომისია, რომელიც ენის ნორმებს დაადგენს, ფაქტობრივად, იგი უკონტროლო რეჟიმში ვითარდება. სად უნდა ვეძებოთ გამოსავალი, როგორ უნდა მოვახერხოთ, რომ მთელმა ქართულმა საზოგადოებამ, უმრავლესობამ და არა მისმა მცირე ნაწილმა ქართულად თავისუფლად აზროვნება, მართლწერა და

მართლმეტყველება შეძლოს? ცხადია, უპირველეს ყოვლისა, პრობლემის სათავეა მოსაძებნი და მოსაგვარებელი.

ოჯახი და სკოლა ადამიანის თავდაპირველ სამეტყველო გარემოს წარმოადგენს, ჩვენი აზრით, სწორედ ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეს ეკისრება პასუხისმგებლობა, მან უნდა გამოუმუშაოს მოზარდს მართლმეტყველებისა და მართლწერის საბაზისო უნარები. სამწუხაროდ, მიგვაჩნია, რომ ეს სათანადოდ ვერ ხერხდება. რა თქმა უნდა, ქართული ენის დღევანდელ მდგომარეობას მხოლოდ სკოლაში სწავლებას ვერ დავუკავშირებთ, თუმცა ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ესაა.

ქართული ენის სწავლებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში საკმაოდ მრავალფეროვანი ისტორია აქვს. ცნობილია, რომ 1928 წელს საქართველოში ჩატარებულა „ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კონფერენცია, რომელზეც მწვავედ ითქვა სკოლებში გრამატიკის სწავლების აუცილებლობის შესახებ. 1928 წლის „მთლიანი შრომის სკოლის პროგრამები“ ცალკე გამოყოფს გრამატიკას, როგორც სასწავლო საგანს... მიუხედავად ამისა, ენას ცალკე საათი მაინც არ ეთმობოდა. 1934 წლიდან პროგრამას საფუძვლად დაედო სისტემურობის პრინციპი, ხოლო ენისთვის ცალკე საათი გამოიყო 1838 წელს“ [1,10].

მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში იცვლებოდა ქართული ენის სწავლების ფორმა და ხანგრძლივობა. მაგალითისთვის - 1946 წლიდან 1955 წლამდე საქართველოს სკოლების თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით გრამატიკის კურსი გადანაწილდა ოთხ წელზე. V-VI კლასებში ისწავლებოდა მორფოლოგია, VII-VIII კლასებში - სინტაქსი. 1951-1955 წლებში ქართული ენა ისწავლებოდა IX-XI კლასებშიც და ეთმობოდა კვირაში ერთი საათი. IX კლასში გათვალისწინებული იყო ძველი ქართული ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხები, X-ში სინტაქსის, სტილისტიკისა და პუნქტუაციის გამეორება, XI-ში მოსწავლეებს ეძლეოდათ ზოგადი ცნობები ენის შესახებ, საკითხები ქართული სალიტერატურო ენის ისტორიიდან. 1956-დან 1970 წლამდე ქართული ენა ისწავლებოდა V-VIII კლასებში. 1975-1976 სასწავლო წლიდან IX კლასში შემოღებული იყო ქართული ენის საკვანძო საკითხების სწავლება (კვირაში ერთი საათი).

1939 წელს გამოვიდა აკაკი შანიძის სასკოლო სახელმძღვანელო, რომელიც მთლიანად სისტემურობის პრინციპზე იყო აგებული. 1948 წლიდან იგი ორ ნაწილად გაიყო, პირველში შევიდა ფონეტიკა და მორფოლოგია მართლწერის საკითხებითურთ, მეორეში - სინტაქსი. წიგნს ახლდა სავარჯიშოები, რომელთა შედგენაში მონაწილეობდნენ: ი. გიგინეიშვილი, ი. იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე. სახელმძღვანელო ყოველწლიურად იხვეწებოდა და ივსებოდა. 1962 წელს საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში მან გაიმარჯვა [1,11-14] და XXI საუკუნის დასაწყისამდე იგი იყო ძირითადი, ხოლო 10-იან წლებამდე ერთ-ერთი სახელმძღვანელო.

XX საუკუნის 90-იან წლებში, XXI საუკუნის 10-იან წლებამდე, გრამატიკა დამოუკიდებელ დისციპლინად ისწავლებოდა, ეთმობოდა ცალკე საათ(ებ)ი და სწავლების სისტემური ფორმა იყო პრიორიტეტული. V-დან VII კლასის ჩათვლით პროგრამა მოიცავდა მორფოლოგიის საკითხებს, VIII-IX კლასებში - სინტაქსის, X-XI-ში

ისწავლებოდა ძველი ქართული ენა, ასევე სტილისტიკა, ლექსიკა, ფრაზეოლოგია, ზოგადი ცნობები ქართული ენის შესახებ.

2006 წლიდან ამოქმედდა ეროვნული სასწავლო გეგმა. მართალია, მასში არ იკითხება პირდაპირი მითითება ქართული ენის სწავლების ფორმის შეცვლის, ან თუნდაც ქართული ენის, როგორც ცალკე სასწავლო დისციპლინის, გაუქმების შესახებ, მაგრამ ფაქტია, რომ ამ დროიდან ბევრი ცვლილება განხორციელდა, ნელ-ნელა, ეტაპობრივად, თავდაპირველად ზოგიერთ კლასში, შემდეგ კი სამივე საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება გახდა ინტეგრირებული, საბოლოოდ კი, 2011 წლიდან ქართული ენა, როგორც ცალკე სასწავლო დისციპლინა, საერთოდ გაუქმდა. ქართული ენის (გრამატიკის) სწავლების პროცესი შემდეგნაირად წარიმართა (მიმოხილულია V კლასიდან ზემოთ ნ.ფ.):

2006-2007 წლებში (მონაცემების ანალიზისას ვეყრდნობით ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მასალებს, გრიფირებულ სახელმძღვანელოთა ჩამონათვალს) V- VI კლასებში ქართული ენა ცალკე საგნად ისწავლებოდა, ა. შანიძის სახელმძღვანელოს, ამასთანავე - ავტორთა: ა. არაბულის, თ. სანიკიძის, შ. აფრიდონიძის და სხვათა წიგნებს გრიფი მიენიჭა, ანუ - სკოლისა და კათედრის გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული ავტორის არჩევა, რაც მთავარია, ქართული ენა, როგორც საგანი, არსებობდა. VII კლასში მდგომარეობა შეიცვალა და მხოლოდ ინტეგრირებული სახელმძღვანელო - სახელწოდებით „ქართული“, პილოტირებული პროექტ „ილიაჭავჭავაძის“ ფარგლებში 2005-2006 წლებში, იყო შემოთავაზებული, VIII-ში ისევ დაშვებულია შანიძე-კვაჭაძის ქართული ენის წიგნი, IX-შიც მსგავსად - შანიძე-კვაჭაძის ტრადიციული სახელმძღვანელო და სანიკიძის „ქართული მართლწერა და სტილისტიკა“, X - ა. არაბულის „ქართული ენა“, XI - ზ. ჭუმბურიძისა და რ. გაბეჩავას „ქართული ენა“.

2007-2008 წლებში ქართული ენის, როგორც ცალკე დისციპლინის, სწავლება გაუქმდა VIII და XI კლასებში;

2008-2009 წლებში ქართული ენის ინტეგრირებულ სწავლებას შეუერთდა IX კლასი.

2009-2010 წლებში იგივე ვითარებაა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ X კლასში ქართული ენის სახელმძღვანელო 2-ნაწილიანი გახდა [2].

2011 წლიდან სამივე საფეხურის ყველა კლასში დაინერგა ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლება. ეს საკითხი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საზოგადოებაში, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა ნაწილი წინააღმდეგია, ზოგიერთი კი - მომხრე.

რას ნიშნავს ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლება? როგორც ინტეგრირებული სახელმძღვანელოების ავტორები აღნიშნავენ, სწავლების ამ ფორმით მოსწავლეს ექმნება შესაძლებლობა, შეიმეცნოს ქართული ენის მრავალფეროვანი სამყარო, ენობრივი რესურსები არ მოსწყდეს ლიტერატურულ ტექსტებს. ვფიქრობთ, არავინ არ იქნება წინააღმდეგი ამ შედეგისა, პირიქით! მაგრამ ერთია ეს მიზანი და მეორე - რამდენადაა შესაძლებელი მისი მიღწევა დღევანდელი სასწავლო პროგრამებით. ვფიქრობთ, ენის შესწავლა არ უნდა ხდებოდეს გრამატიკის

უგულებელყოფის ხარჯზე, რადგან მის გარეშე ენის სრულყოფილი ცოდნა წარმოუდგენელია.

ავთანდილ არაბული, ქართული ენისა და ლიტერატურის გრიფირებული სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ავტორი, ინტერნეტგაზეთ „მასწავლებელთან“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავს: „სასკოლო გრამატიკა, რომელიც საბჭოთა სკოლაში ისწავლებოდა, თეორიული გახლდათ - წესები, განმარტებები, განსაზღვრებები, სავარჯიშოები კი იმის შემოწმებას წარმოადგენდა, რა იცოდა მოსწავლემ“ [3]. ბუნებრივია, ეს საკითხი საკამათო აღარ არის. ყველა თანხმდება იმაზე, რომ მხოლოდ თეორიული ცოდნა არა თუ საკმარისი არ არის, არამედ უფუნქციო და უმიზნოა. მაგრამ, ვფიქრობთ, ერთი უკიდურესობაა მხოლოდ თეორიის შესწავლა და მეორე - მყარი თეორიული საფუძვლის გარეშე პრაქტიკული გრამატიკის დაუფლება.

ქართული ენისა და ლიტერატურის გრიფირებული სახელმძღვანელოების ერთ-ერთი ავტორი - ნათელა მაღლაკელიძე გრამატიკის სწავლების აუცილებლობას შემდეგნაირად ხსნის: „გრამატიკული მასალის სწავლებას დიდი პრაქტიკული დანიშნულება აქვს - იგი ემსახურება სათანადო ორთოგრაფიული, პუნქტუაციური და სტილისტური ჩვევების ფორმირებას, რაც საბოლოოდ მოსწავლეთა ზეპირი და წერიტი მეტყველების კულტურის დახვეწისკენ არის მიმართული. გრამატიკული წესების ცოდნის გარეშე მოსწავლეს უჭირს სიტყვის სწორად დაწერა, სასვენი ნიშნების ხმარება, ფრაზისა და წინადადების მართებულად აგება. მაგრამ მიზანია არა ამ წესების მექანიკური გაზეპირება, არამედ ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება. როგორც ანტონ I აღნიშნავს, „დრამატიკა არს შემძლელობა მართლ უბნობად და მართებულ წერად“ [4, 101].

რა ვითარებაა ამ მხრივ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში? ბოლო მონაცემებით, გრიფი მიენიჭა ავტორთა ოთხი ჯგუფის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებს, ანუ ჩვენი ქვეყნის ყველა სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება ხორციელდება ქვემოთ ჩამოთვლილი წიგნებით:

I-VI კლასი - ნინო გორდეღამის საავტორო ჯგუფის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები;

I-XII კლასი - ნათელა მაღლაკელიძისა და ვახტანგ როდონაიას საავტორო ჯგუფების მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები;

X-XII - ნუგზარ მუზაშვილის საავტორო ჯგუფის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები [5].

თითოეული ჯგუფის სახელმძღვანელო მრავალფეროვანია, საინტერესოდ, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით არის შერჩეული ტექსტები, შედგენილი კითხვარები და სხვ. რაც შეეხება ენის სწავლებას. ნებისმიერ საავტორო სახელმძღვანელოში ყოველი თავის ბოლოს გვხვდება გრამატიკული თემა, ასევე, წიგნებს IX კლასის ჩათვლით (გორდეღამისა და მაღლაკელიძის საავტორო ჯგუფების სახელმძღვანელოებს VII კლასამდე) თან მოჰყვება მოსწავლის რვეულები, რომლებიც ორიენტირებულია პრაქტიკულ გრამატიკულ სავარჯიშოებზე. ერთი შეხედვით, პრობლემა არ ჩანს, მაგრამ საკითხში ღრმად ჩახედულებმა კარგად იციან, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით ქართული ენის სწავლება ქაოსური და არაერთგვაროვანია.

ჩვენი აზრით, ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლებისას ერთ-ერთ მთავარ პრობლემას ქმნის არასისტემურობა. „გრამატიკა ლოგიკურ მეცნიერებათა რიცხვს განეკუთვნება, იგი ხელს უწყობს განზოგადების უნარის განვითარებას, კონკრეტულიდან აბსტრაქტულ აზროვნებაზე გადასვლას“ [4, 100]. არასისტემური მიწოდება ხელს უშლის ახსნილი მასალის გაგებას და, რაც ყველაზე საყურადღებოა, თუ მოსწავლეს წინასწარი მზაობა არ აქვს ამა თუ იმ საკითხის გასააზრებლად, უჭირს ახალი მასალის აღქმა.

ზემოაღნიშნულს მიიჩნევს სწორედ პრობლემად სურამის პირველი საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნინო მასურაშვილი, რომელიც სტატიაში „ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლების ეფექტური და პრობლემური ასპექტები“ აღნიშნავს: „ინტეგრირებულმა სწავლებამ ხელი უნდა შეუწყოს იმის გაცნობიერებას, რომ სალიტერატურო ენის ნორმები არის მართლწერისა და მართლმეტყველების ერთადერთი საშუალება. სკოლაში გრამატიკის სრული კურსის ზედმიწევნით შესწავლა ვერ უზრუნველყოფდა შეძენილი ცოდნის გამოყენებასა და პრაქტიკულ გააზრებას, ე.ი. გრამატიკას სწავლობდნენ და ასწავლიდნენ გრამატიკისთვის. შეიცვალა საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულება, რაც მისასაღებელია, თუმცა ახლა სხვა პრობლემამ იჩინა თავი. არსებულ სახელმძღვანელოებში არაორგანიზებულად არის შემოთავაზებული ენის საკითხები, მხოლოდ მასწავლებლის პროფესიონალიზმსა და შემოქმედებით უნარზეა დამოკიდებული ენის ინტენსიური კურსის შესწავლა ლიტერატურასთან კავშირში“ [6].

დიდაქტიკა, როგორც ვიცით, არის პედაგოგიკის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი, რომელიც პასუხობს კითხვებზე: რა ვასწავლოთ და როგორ ვასწავლოთ. დიდაქტიკის ერთ-ერთი პრინციპია ცოდნის სისტემურობა და სწავლების თანმიმდევრობა. „მოსწავლისაგან ჰარმონიული ადამიანის აღზრდა, რიგ სხვა ღონისძიებებთან ერთად მოითხოვს ისეთ სწავლებას, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ მეცნიერებათა საფუძვლების თანმიმდევრულ შეთვისებას... ცოდნის სისტემატურობისა და თანმიმდევრობის პრინციპის განხორციელება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს სკოლის სასწავლო გეგმა, პროგრამა და სახელმძღვანელოები აიგოს იმ საფუძველზე, რომ დაცული იყოს საგნის მეცნიერული ლოგიკა, უზრუნველყოფდეს მოსწავლეთა მიერ ცოდნის სისტემურ, თანმიმდევრულ შეთვისებას. ყოველ ცალკე გაკვეთილზე მიღებული ცოდნა საგნის მეცნიერული სისტემის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდეს“ [7, 91-92].

ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში, ინტეგრირებული სწავლებიდან გამომდინარე, ცოდნის სისტემატურობისა და თანმიმდევრობის პრინციპი დარღვეულია. მაგალითისთვის, როდონაიას ჯგუფის V კლასის სახელმძღვანელოში მოსწავლეებს ჯერ უწევთ წინადადების, წინადადების წევრების, მარტივი და რთული წინადადების გარჩევის სწავლა, ხოლო ამის შემდეგ - მეტყველების ნაწილების. მაგალითად, ამავე სახელმძღვანელოს 137-ე გვერდზე ვკითხულობთ: „წინადადება, რომლის ყველა წევრი ადგილზეა, სრულია. მაგრამ მეტყველების დროს ხშირად ვტოვებთ ამა თუ იმ წევრს. წევრგამოტოვებულ წინადადებას უსრული ჰქვია“ [8, 137]. მეხუთეკლასელ მოსწავლეს სწავლების ამ ეტაპზე აღქმული არ აქვს ზმნა თავისი პირებითა და კატეგორიებით, უჭირს პირების შეწყობა, ვერ არჩევს სუბიექტურ და

ობიექტურ პირებს - თავისთავად ცხადია, ვერც იმას გამოიცნობს, რომელია მთავარი და არამთავარი წევრი, რომელი წევრები ეწყობა ზმნა-შემასმენელს, შესაბამისად - ვერ გააცნობიერებს, რას ნიშნავს სინამდვილეში „წევრგამოტოვებული“ წინადადება, ანუ უსრული. მაგ., მოცემულ წინადადებაში I პირის ნაცვალსახელით ნავარაუდები ქვემდებარე გამოტოვებულია: ზაფხულის არდადეგებზე ხშირად მივემგზავრები სოფელში. ქართულისთვის ბუნებრივია უნაცვალსახელო წინადადებები, მეხუთე კლასის მოსწავლე, დიდი შანსია, ვერ მიხვდეს, აქ გამოტოვებულია თუ არა წევრი და ამ ლოგიკით ვერ გამოიცნოს, წინადადება სრულია თუ უსრული.

VI კლასის სახელმძღვანელოში ჯერ საუბარია წინადადების მთავარ და არამთავარ წევრებზე, რასაც მოსდევს რიცხვით სახელთან, ზედსართავ სახელთან, ნაცვალსახელთან, ზმნიზედასა და ზმნასთან დაკავშირებული საკითხები. ასევეა შერეული მომდევნო კლასების სახელმძღვანელოებში მორფოლოგიური, სინტაქსური თუ ფონეტიკური საკითხები.

ნინო გორდელაძის საავტორო ჯგუფის სახელმძღვანელოების (I-დან VI კლასის ჩათვლით) გრამატიკული მასალა ძირითადად მოიცავს მორფოლოგიურ საკითხებს, უფრო ნაკლებად - ფონეტიკურს, თუმცა მასალა აქაც არასისტემურადაა მოცემული: მაგალითად, მეოთხე კლასის ენის პროგრამა იწყება ქართულ ანბანზე, ასოთა სახელებზე, მჟღერ და ყრუ თანხმოვნებზე საუბრით, შემდეგ ბავშვებს უწევთ მეტყველების ნაწილების შესწავლა შემდეგი თანმიმდევრობით: არსებითი სახელი, ბრუნება, ზმნა, უღლება, რიცხვითი სახელი, ზედსართავი სახელი, ზმნა და ზმნიზედა, ნაცვალსახელი...

ინტეგრირებული სწავლება, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ქართული ენა აღარ ისწავლება, უბრალოდ, მასალის არასისტემური მიწოდება საქმეს ართულებს. ასევე ის, რომ ქართულ ენას, როგორც დამოუკიდებელ დისციპლინას, საათი აღარ ეთმობა, იწვევს უყურადღებობას მშობლიური ენისადმი, ეს კი თავისთავად განაპირობებს ენის ცოდნის დაბალ დონეს.

ავთანდილ არაბული შენიშნავს: „დღეს ქართულის საათები არც ერთ კლასში არ არის გაყოფილი ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებად. სახელმძღვანელოები ინტეგრირებულია ყველა კლასში, შესაბამისად, სტანდარტი და პროგრამა ისეა შედგენილი, რომ გრამატიკა საერთო მასალაში იყოს წარმოდგენილი. ამ ინტეგრირებას აქვს როგორც ღირსება, ისე ნაკლიც. ღირსებაა ის, რომ ენობრივი ამოცანები ტექსტობრივ რესურსებს არ სწყდება, ნაკლი კი ისაა, რომ რაც უფრო მაღალია კლასი, მით უფრო მეტია ლიტერატურული ტექსტების რაოდენობა. მასალა ვრცელია და ნაკლები ადგილი რჩება იმ ენობრივი ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც არა მხოლოდ პრაქტიკულად, არამედ თეორიულადაცაა მომწიფებული. მშობლიური ენის გრამატიკული სისტემის ცოდნა ხომ ადამიანის განათლებისთვის ასევე აუცილებელია. ინტეგრირებული სწავლებისას სისტემური მიდგომა ნაკლებად ხერხება.“

მასწავლებელმა ენობრივი ამოცანების გადაცემა რომ მოასწროს, კონტინგენტი უნდა ჰყავდეს შეზღუდული. საჯარო სკოლაში, სადაც კლასში ორმოცი ბავშვია, ძნელია, ერთ გაკვეთილში ჩაატო გამოკითხვაც, ახსნაც და ენობრივი საკითხებიც. მასწავლებელი დროში ვერ ეტევა და გრამატიკა გერის როლში რჩება... ენისა და

ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლება გარდამავალი პერიოდია და ოპტიმალური მეთოდი შესამუშავებელია“ [3].

„გრამატიკის გერის როლში ყოფნა“ - სწორედ ეს არის მწვავე პრობლემა ქართული ენის სწავლებისას. ვითარება უფრო რთულდება სწავლების მესამე საფეხურზე. საათობრივი ბადით მეათე-მეთერთმეტე კლასებისთვის განკუთვნილია 5 საათი, ხოლო მეთორმეტეში ამას ემატება ერთი სააბიტურო. როგორც ვიცით, სწავლების მეორე საფეხურზე მორფოლოგია-სინტაქსის კურსი სრულდება, X-XII კლასებში პროგრამა აღარ ითვალისწინებს გრამატიკის კურსის გავლას, სახელმძღვანელოთი შემოთავაზებულია მხოლოდ სტილისტიკისა და ლექსიკოლოგიის საკითხები. გარდა ამისა, ლიტერატურული პროგრამული მასალა იმდენად დიდია, რომ ფიზიკურად არ რჩება სათანადო დრო გრამატიკულ საკითხებზე სამუშაოდ.

ზოგიერთი გამოთქვამს საწინააღმდეგო აზრს და იტყვის, რომ მესამე საფეხურზე არავინ არ კრძალავს გრამატიკის სწავლებასა თუ პრაქტიკულ მუშაობას - რა თქმა უნდა, ასეცაა და სწორედ რიგი მასწავლებლების ძალისხმევითა და მონდომებით ეს მეტ-ნაკლებად ხერხდება, მაგრამ განა აღნიშნულიც პრობლემა არ არის?! რატომ უნდა იყოს მშობლიური ენის სწავლება, გრამატიკისადმი ყურადღების მიქცევა დამოკიდებული მხოლოდ ენთუზიასტი მასწავლებლების სურვილზე. ჩვენი შეხედულებით, ისევ და ისევ მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, აუცილებლად შესამუშავებელია თეორიულ საფუძველზე დამყარებული პრაქტიკული გრამატიკის კურსი, შესაქმნელია სახელმძღვანელოც და ბუნებრივია, გამოსაყოფია ლიტერატურისგან დამოუკიდელი საათ(ებ)ი.

2006-2010 წლებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, X კლასში, ლიტერატურისგან დამოუკიდებლად, გრიფი მიენიჭა ქართული ენის სახელმძღვანელოს ავთანდილ არაბულის, ქეთევან რეხვიაშვილის, ნინო შარაშენიძისა და მათა შაყულაშვილის ავტორობით, რომლის წინასიტყვაობაშიც ვკითხულობთ შემდეგს: „სახელმძღვანელო რეკომენდებულია ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ. წარმატებით პილოტირებულია საქართველოს სკოლებში განათლების რეფორმის პროექტ „ილია ჭავჭავაძის“ ფარგლებში 2005-2006 სასწავლო წელს. სახელმძღვანელო დახმარებას გაგიწევთ X კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო გეგმით განსაზღვრული 8 შედეგის (X.6; X.7; X.8; X.11; X.12; X.14; X.15; X.16) მიღწევაში. სახელმძღვანელო აშუქებს ტექსტის ლინგვისტური ანალიზისა და მოდელირების (ანუ აგების), ასევე მართლწერის საკითხებს, რომლებსაც ჯეროვანი ყურადღება ეთმობა ეროვნული გამოცდების პროგრამაში“ [9, 2].

2009-2010 სასწავლო წელს ლიტერატურის სხვა სახელმძღვანელოებთან ერთად ეს წიგნი ისევ გრიფირებულთა სიაშია, 2011 წლიდან კი - აღარ. საინტერესოა შემდეგი: 2009-2010 წლებში გრიფინიჭებული გახლდათ ვ. როდონაიასა და ნ. ჩუბინიძის საავტორო ჯგუფების ლიტერატურის სახელმძღვანელოები, რომლებიც დღესაც სასწავლო მასალაა, ძველსა და ახალ ვარიანტებს შორის მცირეოდენი შინაარსობრივი სხვაობაა. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ 2006-2010 წლებში X კლასის მოსწავლეთათვის ლიტერატურის სახელმძღვანელოსთან ერთად საჭირო იყო დამატებითი მუშაობა გრამატიკაში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად, ასევე, ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებლად, რა

შეიცვალა მომდევნო 1 წელში? 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები იდენტურია 2007, 2008, 2009-2010 წლების ე.ს.გ.-ის შედეგებისა, მოსწავლეებს ისევ სჭირდებათ ზემოაღნიშნული რეზულტატის მიღება, გრამატიკულ საკითხებს კვლავ დიდი ყურადღება ექცევა საატესტატო და ეროვნულ გამოცდებზე. თუ ამ ყველაფრისთვის წინა წლებში რეკომენდებული იყო ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებულ სახელმძღვანელოსთან ერთად ქართული ენის თეორიულ-პრაქტიკული კურსის გავლა, ახლა მხოლოდ ერთი წიგნით ეს, რა თქმა უნდა, ვერ მოხერხდება.

2011-2016

წლების ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ქართული ენის ადალიტერატურის სწავლების მიზნები და ამოცანები: „პიროვნების საერთო კულტურა,

საკომუნიკაციო და პროფესიული უნარ-

ჩვევების წორედ მშობლიური ენის საფუძველზე ყალიბდება. ის ქმნის მიმდირითა და ბაზისს, რომელსაც ეფუძნება ადამიანის თავისუფალი განვითარების მთელი შემდგომი პროცესი.

სწორედ ამის გათვალისწინებით განისაზღვრება ქართული ენის ადალიტერატურის სწავლების მიზნები:

- განუვითაროს მოზარდს ძირითადი სამეტყველო უნარები (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი);
- გამოუმუშაოს წერიტი და ზეპირი მეტყველების კულტურა... და ა.შ.

საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე,

ქართული ენის ადალიტერატურის სწავლებას კოლაშიით ვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას. ამგვარ ამოცანებს წარმოადგენს (ჩამოთვლილი არამდენიმე - ნ.ფ.):

- სამეტყველო ეტიკეტის ნორმების დაცვა;
- ტექსტის აგების კანონზომიერების გათვალისწინებით ტექსტის შექმნა;
- მიზნობრივი ამოცანის შესატყვისის ტილით წერა და მეტყველება;
- ორთოგრაფიული და პუნქტუაციური ნორმების სათანადო დგამოყენება” [10, 49-50].

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანები, შეიძლება ითქვას, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას მეტ-ნაკლებად თუ გადაიჭრება. საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის ვ. როდონაიას, ნ. მუზაშვილისა და ნ. მალაკელიძის საავტორო ჯგუფების სახელმძღვანელოები ლიტერატურული მასალის თვალსაზრისით კომპეტენტურადაა შედგენილი, მრავალფეროვანი რუბრიკები, კრიტიკული წერილები, სააზროვნო შეკითხვები მოსწავლეებს უვითარებს მკითხველის კომპეტენციას, არგუმენტაციის, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარს და სხვ., თუმცა აქ თავს იჩენს შემდეგი პრობლემა: რადგანაც საშუალო საფეხურზე არ ისწავლება გრამატიკა, მოსწავლეს უჭირს გამართული ქართულით მეტყველება და მართლწერა, ეს კი ხელს შეუშლის ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მიღწევასა და ამოცანების გადაჭრას.

საინტერესოა, მესამე საფეხურის ინტეგრირებულ სახელმძღვანელოებში რამდენად ეთმობა ყურადღება ენობრივ საკითხებს.

X კლასში, გამომდინარე იქიდან, რომ ისწავლება ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლები, ძირითადად შემოტანილია ძველი ქართული ენის საკითხები, აქაც

არასისტემურად, ასევე ისწავლება სტილისტიკა, წერის სტრატეგიები, როგორ დაიწეროს ესე, რეფერატი და ა.შ.

ვ. როდონაიას საავტორო ჯგუფის სახელმძღვანელო: ყოველ თავში, თითოეული ტექსტის ბოლოს, მოცემულია თემა: ტექსტის ენა, რომლის ფარგლებშიც, ძირითადად, განხილულია ტექსტთან დაკავშირებული საკითხები ძველი ქართული ენიდან (ლექსიკა, ფრაზეოლოგია, გრამატიკა), მაგ.: დამატებითი ასონიშნები ძველი ქართულისათვის, მეშველი ზმნა „არს“, კავშირები ძველ ქართულში, ნაცვალსახელი ნაწილაკის როლში, „პატიჟი“ ძველი და ახალი მნიშვნელობით, „ჯერ-არს“ რთული ზმნის ისტორიიდან“, „პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ასახვა ძველ ქართულ ზმნაში; „თავისებური ვნებითის ფორმები ძველ ქართულში“; „ძველი და ახალი „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრების ენაში“; „ვეფხისტყაოსნის“ გრამატიკა - ძველი ქართულიდან შემორჩენილი რამდენიმე გრამატიკული თავისებურება“; ძველი ხოლმეობითი; „ერთი სიტყვის ისტორია - მუხრუჭი“ და ა.შ. [11].

ნ. მუზაშვილის საავტორო ჯგუფის სახელმძღვანელო: დასაწყისში მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, შეისწავლონ ქართული ენის მცირე ისტორია, შემდეგ კი განხილულია საკითხები(22-დან 25 გვერდამდე): „ხმარებიდან გასული ასოები“; „საკუთარ სახელთა ბრუნება“; „მიმართულების გამომხატველი ფორმები“; „ორმაგი ბრუნება ძველ ქართულში“; „მრავალგზის განმეორებული მოქმედების გამოხატვა ძველ ქართულში“; „ბრძანებითის ფორმები ძველ ქართულში“; „მომავალი დროის გამოხატვა ძველ ქართულში“; „კავშირები ძველ ქართულში“; შემდეგ კი ყოველ ტექსტს მოსდევს შემდეგი თავი: ენა და ტექსტი, რომელიც შედგება ქვეთავებისგან: „ენის საუნჯე“ (განხილულია მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები); „წერის სტრატეგიები“ (როგორ დაიწეროს ესე, საკონფერენციო თემა და ა.შ.) და „ლექსიკა“ (სიტყვების ისტორია და მნიშვნელობის ცვლა) [12].

ნ. მაღლაკელიძის საავტორო ჯგუფის სახელმძღვანელო: რუბრიკაში „ენობრივ მასალაზე დაკვირვება“ მიმოხილულია პროგრამულ ტექსტებთან დაკავშირებული საკითხები, მაგ., საკუთარი სახელის ბრუნება; ტოპონიმისა და ანთროპონიმის განმარტება; შედარება ძველი მსაზღვრელ-საზღვრულისა ახალთან... 3 გრიფირებული სახელმძღვანელოდან აღნიშნული ერთადერთია, რომელშიც შეტანილია ტექსტების რედაქტირება (სულ 9 ტექსტი) [13].

XI კლასის სახელმძღვანელოებიც მსგავსი სტილითაა შედგენილი.

ვ. როდონაიას საავტორო ჯგუფის წიგნში ვხვდებით რუბრიკას „მწერლის ენა“, რომელშიც მიმოხილულია პროგრამული ტექსტების ავტორთა სტილი და ენის თავისებურებები [14];

ნ. მუზაშვილის საავტორო ჯგუფის სახელმძღვანელოს რუბრიკაში „ენა და ტექსტი“ მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, შეისწავლონ ტექსტის ტიპები (ესე, კრიტიკული წერილი, საჯარო მოხსენება, პუბლიცისტური წერილი და ა.შ.), ასევე მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები. შემოდის ახალი ტიპის დავალება - ტექსტის რედაქტირება (სულ 6) [15].

ნ. მაღლაკელიძის საავტორო ჯგუფის სახელმძღვანელოს რუბრიკაში „წერისა და მეტყველების კულტურა“ საუბარია სტილის სახეებზე, განხილულია, როგორ უნდა

შეიქმნას და დაიწეროს ლექცია, მოხსენება, რეზიუმე, თეზისი და ა.შ., ამასთანავე, მოცემულია ენობრივად გაუმართავი ტექსტები გასასწორებლად (სულ 6) [16].

რაც შეეხება მეთორმეტე კლასის პროგრამას. როგორც ვიცით, თორმეტწლიანი სწავლება დაინერგა 2008 წლიდან. 2008 წლის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მეთორმეტე კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამის შინაარსი, მისი ერთ-ერთი ნაწილი - გრამატიკული ასპექტები სხვა საკითხებთან ერთად მოიცავდა „ტექსტის რედაქტირებისთვის აუცილებელგრამატიკულ, პუნქტუაციურ და ორთოგრაფიული წესებსა და ნორმებს“ [17, 107]. 2008-2009 სასწავლო წლისათვის გრიფი მიენიჭა XII კლასის ქართულის ერთადერთ სახელმძღვანელოს თამაზ ვასაძის, ნუგზარ მუზაშვილისა და ნიკოლოზ ჩუბინიძის ავტორობით. იგი რამდენიმე წლის განმავლობაში ერთადერთ გრიფირებულ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა. მიუხედავად მრავალფეროვანი და საინტერესო შინაარსისა (იგულისხმება როგორც პროგრამული, ისე კლასგარეშე ქართული და უცხოური ტექსტები), აღნიშნულ წიგნში არ იყო წარმოდგენილი ზემოაღნიშნული გრამატიკული, პუნქტუაციური და ორთოგრაფიული წესები და ნორმები, ფაქტობრივად, სასკოლო პროგრამა, ძირითადი სახელმძღვანელო არ ითვალისწინებდა ამ საკითხების სწავლებას.

ამჟამად XII კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის გრიფირებული სახელმძღვანელოების ენობრივი პროგრამა შემდეგნაირადაა შედგენილი:

ვ. როდონაიას საავტორო ჯგუფის სახელმძღვანელოს რუბრიკაში „მწერლის ენა“ განხილულია დავით კლდიაშვილის, ცისფერყანწელთა, ლეო ქიაჩელის, ნიკოლორთქიფანიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, პოლიკარპე კაკაბაძის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ჯემალ ქარჩხაძისა და გურამ დოჩანაშვილის ენა, წერის სტილი, საუბარია ენობრივ გამომსახველობით სამუალეებზე [18].

ნ. მუზაშვილის საავტორო ჯგუფის სახელმძღვანელოში, რომელიც შედგება 9 თავისგან, ვხვდებით ქვეთავებს - „სტილის შესახებ“. აქ მოცემულია კითხვები განვლილი მასალიდან, მაგ., რა არის ბარბარიზმი, ნეოლოგიზმი, არქაიზმი... ასევე, მოსწავლეებს ევალებათ, გაიხსენონ სინტაქსის ესა თუ ის საკითხი. ჩამოთვლილია სტილისტური ხარვეზები: ტავტოლოგია, კალკი, ატროფია, პლეონაზმი, კონტამინაცია, განმარტებულია პარონიმია და ა.შ. მიმოხილულია პოეზიის ენა და მისი მახასიათებლები. ვხვდებით 4 ტექსტს რედაქტირებისათვის [19].

ნ. მაღლაკელიძისა და თ. ცხადაიას საავტორო ჯგუფის სახელმძღვანელოში გრძელდება რუბრიკა „წერისა და მეტყველების კულტურა“, მოცემულია შემდეგი საკითხები: რა არის ოქმი, რეფერატი, როგორ უნდა მომზადდეს პროექტი. დაბეჭდილია 5 ტექსტი, რომლებშიც დაშვებულია 20 მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომა და სტილისტური ხარვეზი, მოსწავლეებს ევალებათ მათი გასწორება [20].

როგორც უკვე ითქვა, მესამე საფეხურზე ენის სწავლებისას მთავარ პრობლემას ქმნის დიდი ლიტერატურული მასალა და ენისთვის არ რჩება დრო, ან კიდევ იმდენად მცირეა, რომ საფუძვლიანი მუშაობა ვერ ხერხდება.

ამავდროულად, ყურადღებამისაქცევია შემდეგი საკითხი - 2010-2011 სასწავლო წლიდან საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დაინერგა გამოსაშვები გამოცდები, რომლებიც ამოწმებს კურსდამთავრებულთა ცოდნას რვა საგანში.

ვფიქრობთ, მესამე საფეხურზე მიღებული ცოდნა, სახელმძღვანელოებით მიწოდებული მასალა და მხოლოდ ამ პროგრამის დაძლევა მოსწავლეს არ აძლევს იმის საშუალებას, წარმატებით ჩააბაროს გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ან თუნდაც მარტივად გადალახოს ბარიერი. მიზეზი შემდეგია: ქართული ენისა და ლიტერატურის საატესტატო გამოცდის კითხვარში დიდი ყურადღება ეთმობა შეკითხვებს გრამატიკიდან. ორთოგრაფია-მორფოლოგიის ძირითადი კურსის გავლას მოსწავლე ასრულებს მერვე კლასში, სინტაქსს - IX-ში. ბუნებრივია, საშუალო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლებისას მიღებული გრამატიკული ცოდნა არ იქნება მყარი, საკმარისი და ხანგრძლივი, რათა მოსწავლეები მომზადებულნი შეხვდნენ საატესტატო გამოცდებს.

ქართული ენისა და ლიტერატურის ერთიან ეროვნულ გამოცდაზეც ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ენას. ფაქტობრივად, 80-ქულიანი ტესტიდან 35 გრამატიკულ საკითხებს ეთმობა. ენობრივად გაუმართავი ტექსტის რედაქტირება 20-ქულიანი დავალებაა - აბიტურიენტებს ევალებათ 10 მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული და სინტაქსური, 2 სტილისტური და 6 პუნქტუაციური შეცდომის გასწორება. შეფასების კრიტერიუმების თანახმად, 25-ქულიანი წერითი დავალების 6 ქულა (25-დან) და არგუმენტირებული ესეს 9 ქულა (20-დან) ენობრივად გამართულ ნაწერში იწერება, მაგალითად, თუ მოსწავლემ თემის წერისას დაუშვა 2 სინტაქსური შეცდომა, იგი 25-დან 1 ქულას კარგავს, ესეში 2 მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული ან სინტაქსური შეცდომის დაშვების შემთხვევაში ასევე 1 ქულა აკლდება შეფასებისას, ხოლო თუ ამ ტიპის ხარვეზებმა 6-ს გადააჭარბა, 20-დან - 4 ქულა.

როგორც ვხედავთ, ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩასაბარებლად აუცილებელია გრამატიკული მასალის საფუძვლიანი ცოდნა, სკოლის ძირითადი სახელმძღვანელოთი შეთავაზებული პროგრამა კი ამის წინაპირობას ვერ ქმნის. სამწუხარო რეალობაა ის, რომ საშუალო საფეხურის მოსწავლეებს უჭირთ, ერთმანეთისგან გაარჩიონ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული ან სინტაქსური შეცდომები თუ სტილისტური ხარვეზები. გრიფირებულ წიგნებში არსებული რამდენიმე სავარჯიშო, რომლებიც გულისხმობს ენობრივად გაუმართავი ტექსტების გასწორებას, არ არის საკმარისი, რადგანაც მხოლოდ პრაქტიკული მუშაობით, თეორიული საფუძვლის გარეშე გრამატიკის სწავლა და საფუძვლიანი ცოდნის მიღება შეუძლებელია.

სწორედ ესაა ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ მეთორმეტკლასელთა აბსოლუტური უმრავლესობა საგამოცდო პროგრამის შესწავლას რეპეტიტორებთან ამჯობინებს, რაც, ბუნებრივია, სერიოზულ პრობლემად განიხილება.

მოსწავლეთა და მასწავლებელთა შეხედულებების დასადგენად ჩავატარეთ მცირემასშტაბიანი რაოდენობრივი კვლევა შემთხვევითი შერჩევის მეთოდით - გამოკითხეთ ქართული ენისა და ლიტერატურის 50მასწავლებელი და 100 აბიტურიენტი. კითხვაზე - „უნდა ისწავლებოდეს ქართული ენა ლიტერატურისგან დამოუკიდებლად, უნდა ეთმობოდეს ცალკე საათ(ებ)ი საშუალო სკოლის მესამე საფეხურზე (X, XI, XII)? გამოკითხულ მასწავლებელთა 94 %-ისა და აბიტურიენტთა 98 %-ის პასუხი იყო დადებითი.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, გამოსავალი შემდეგნაირად გვესახება - შესამუშავებელია თეორიულ მასალაზე დამყარებული გრამატიკის სასკოლო პრაქტიკული კურსი მინიმუმ საშუალო საფეხურის მოსწავლეთათვის, შესადგენია სახელმძღვანელო, გასათვალისწინებელია მასწავლებელთა და მოსწავლეთა სურვილი - ქართულ ენას, როგორც დამოუკიდებელ დისციპლინას, დაეთმოს საათ(ებ)ი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართული ენის სწავლება საშუალო სკოლაში, 1921-1990 წლები (ბიბლიოგრაფია), თბ., გამომცემლობა „ინტელექტი“, 2002;
2. www.eqe.ge - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდი;
3. ინტერვიუ ავთანდილ არაბულთან, ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“, 7 ოქტომბერი, 2013;
4. ნ. მაღლაკელიძე, ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგია/დიდაქტიკა, თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“, 2013;
5. www.mes.gov.ge – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდი;
6. ნ. მასურაშვილი, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ეფექტური და პრობლემური ასპექტები, www.blogger.ge, 2012;
7. დ. ლორთქიფანიძე, დიდაქტიკა, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1981;
8. ვ. როდონაია, ნ. ნაკუდაშვილი, ა. არაბული, მ. ხუციშვილი, ქართული ენა და ლიტერატურა - მე-5 კლასის სახელმძღვანელო, თბ., გამომცემლობა „სწავლანი“, 2012;
9. ა. არაბული, ქ. რეხვიაშვილი, ნ. შარაშენიძე, მ. შაყულაშვილი, ქართული ენა, თბ., გამომცემლობა „წყაროსთვალი“, 2006;
10. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011-2016 სასწავლო წლები, ელექტრონული ვერსია;
11. ვ. როდონაია, მ. გიგინეიშვილი, ლ. გრიგოლაშვილი, ქართული ენა და ლიტერატურა - მე-10 კლასის სახელმძღვანელო, თბ., გამომცემლობა „სწავლანი“, 2012;
12. ნ. მუზაშვილი, ნ. ჩუბინიძე, ნ. შარაშენიძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა 10, თბ., გამომცემლობა „დიოგენე“, 2012;
13. ნ. მაღლაკელიძე, თ. ცხადაია, დ. კვანჭიანი, ნ. ღონღაძე, თ. ღონღაძე, ქართული ენა და ლიტერატურა 10, თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012;
14. ვ. როდონაია, ნ. ნაკუდაშვილი, ა. არაბული, მ. ხუციშვილი, ლ. დათაშვილი, ქართული ენა და ლიტერატურა - მე-11 კლასის სახელმძღვანელო, თბ., გამომცემლობა „სწავლანი“, 2012;
15. ნ. მუზაშვილი, ნ. ჩუბინიძე, ნ. შარაშენიძე, ქართული ენა და ლიტერატურა 11, თბ., გამომცემლობა „დიოგენე“, 2012;
16. ნ. მაღლაკელიძე, თ. ცხადაია, დ. კვანჭიანი, ნ. ღონღაძე, თ. ღონღაძე, ქართული ენა და ლიტერატურა 11, თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012;
17. ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგად საგანმანათლებლო სკოლებისათვის, 2008-2009 სასწავლო წლები, ელექტრონული ვერსია;

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

18. ვ. როდონია, ნ. ნაკუდაშვილი, ა. არაბული, მ. ხუციშვილი, ქართული ენა და ლიტერატურა - მე-12 კლასის სახელმძღვანელო, თბ., გამომცემლობა „სწავლანი“, 2012;
19. ნ. მუზაშვილი, ქ. ლევანიშვილი, ქართული ენა და ლიტერატურა 12, თბ., გამომცემლობა „დიოგენე“, 2012;
20. თ.ცხადაია, დ.კვანჭიანი, ნ. კუცია, ნ.ლონდაძე, თ. ლონდაძე, ქართული ენა და ლიტერატურა 12, თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012;